

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების
პროცედურა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის რეგულირების სფერო და მიზანი

1. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (შემდგომში - პროცედურა) არეგულირებს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი), ქართულ ენაში მომზადებისა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესს.

2. წინამდებარე პროცედურა ეფუძნება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს და სხვა საკანონმდებლო აქტებს.

3. წინამდებარე პროცედურის მიზანია უნივერსიტეტში ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- ა) მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების საჭიროებების, ასევე ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებას;
- ბ) დარგის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებას;
- გ) სწავლებისა და კვლევის ინტეგრირებას;
- დ) სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და ინკლუზიურობას;
- ე) კურიკულუმის, სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციას.

თავი II. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება

1. საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს შესაბამისი მიმართულების/დარგის/ქვედარგის აკადემიური პერსონალი ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მრეწველობასთან და პარტნიორ ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. პროგრამის შინაარსი, მისი შემადგენელი კომპონენტების შინაარსი და ფორმა განისაზღვრება დანართი №1-ის შესაბამისად. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შინაარსი ასევე რეგულირდება დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით.
2. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი (დანართი №2) პროგრამას განსახილველად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების კომიტეტს (შემდგომში კომიტეტს) (დანართი №3). იგი ითვალისწინებს კომიტეტის წევრების მიერ მოწოდებულ არგუმენტირებულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს (მიზანშეწონილობის შემთხვევაში).
3. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში კომიტეტის წევრები იკრიბებიან სულ მცირე ორჯერ.

4. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლამდე, ხოლო ახალი პროგრამის შემთხვევაში აკრედიტაციის მიღების სასურველ თარიღამდე¹ სულ მცირე 1 (ერთი) წლით ადრე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად გადაეცემა:

ა) საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);

ბ) სილაბუსები² (დანართი 4);

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;

დ) კურიკულუმის რუკა, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა (დანართი 5);

ე) ცნობა ბიბლიოთეკიდან სავალდებულო ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში ხელმისაწვდომობის შესახებ;

ვ) პროგრამის ბიუჯეტი (დანართი 6);

ზ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნებართვა პროგრამის უცხო ენაზე განხორციელების თაობაზე.

5. ერთობლივი (საერთაშორისო) საგანმანათლებლო პროგრამის (დანართი N7) შემთხვევაში წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული რეგულაციებითა და განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად დამატებით უნდა იქნეს წარდგენილი:

ა) თანხმობის წერილი ყოველი პარტნიორი დაწესებულებიდან (დანართი N8);

ბ) პარტიორი დაწესებულებების სრული სია და განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება³.

¹ იმისათვის რომ სტუდენტებმა შეძლონ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებისას უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა, აღნიშნული პროგრამა მითითებული უნდა იყოს უნივერსიტეტის მიერ შეესრულებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ანკეტა-კითხვარში. უნივერსიტეტმა აღნიშნული ანკეტა კითხვარი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნდა წარადგინოს **15 დეკემბრამდე**.

² უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები მზადდება როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. უცხოურ ენაზე პროგრამის და სილაბუსების მომზადებას უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. უცხოურ ენაზე მომზადებული პროგრამის და სილაბუსების რედაქტირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

³ ხელშეკრულების პროექტის შინაარსი განისაზღვრება „ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმების წესის“ დამტკიცების შესახებ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 3 თებერვლის #74 ბრძანებით და თანხმდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

6. შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას საუნივერსიტეტო და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წერილობით წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.

7. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას, თანხმობის შემთხვევაში ამტკიცებს და უგზავნის მას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

8. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ერთი თვის ვადაში განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას და დადებითი დასკვნის შემთხვევაში, წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

9. პროგრამას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

თავი III. პროგრამების შეფასება და განვითარება

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

1. პროგრამის შეფასება რეგულალური პროცესია და პროგრამის კომიტეტი აფასებს საგანმანათლებლო პროგრამას, პროგრამის ხელმძღვანელისა და მიერ წარდგენილი სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვის შედეგების (დანართი 9), სტუდენტთა საუნივერსიტეტო სერვისებით და მომსახურებით კმაყოფილების გამოკითხვის შედეგების (დანართი 10), დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების (დანართი 11), კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების (დანართი 12), პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ ინფორმაციის (აკადემიური საბჭოს დადგენილება 81/2018, 26/02/2018, დანართი 1 - თვითშეფასების კითხვარი აკადემიური პერსონალისთვის), მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაციის (დანართი 13) და საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის (დანართი 14) და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე;

2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების წინასწარი შეფასების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების პროცესის ადმინისტრირების და ინფორმაციის სისტემატიზაციის მიზნით იქმნება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების პორტფოლიო (დანართი 15);
3. პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლენილი გარემოებების მიხედვით შემუშავდება რეკომენდაციები და მათი მიღწევის გზები პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ;
3. პროგრამის შეფასების შედეგად კომიტეტის წევრები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით.
4. პროგრამების განხორციელების შეფასება ხდება სასწავლო წლის დასასრულს. საგანმანათლებლო პროგრამაში/პროგრამებში ცვლილებები (საჭიროების შემთხვევაში) ხორციელდება იმავე სასწავლო წლის შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურა

1. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა პროცედურული თვალსაზრისით ხორციელდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.
2. საგანმანათლებლო პროგრამის განახლება/პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების/კოორდინატორის, ან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ინიციატივით, ან კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფს სამსახურთან შეთანხმებული ცვლილების პროექტი წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო შუამდგომლობის თხოვნით მიმართავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
4. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების პროექტს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
5. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის (ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო კომპონენტების დამატება ან/და

ამოღება, ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო კომპონენტებისთვის მინიჭებული კრედიტების ცვლილება, მოდულის დამატება ან/და ამოღება, დამატებითი სპეციალობის პროგრამის დამატება ან/და ამოღება) ცვლილების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წერილობით აცნობოს ამის შესახებ ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლების ენის ან/და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დაუშვებელია. ასევე, დაუშვებელია საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება ან პროგრამის გაყოფა. აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები განიხილება ახალ საგანმანათლებლო პროგრამად/პროგრამებად, რომელმაც თავიდან უნდა გაიაროს აკრედიტაცია. თუმცა საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანას.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №1

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი¹

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	საჭიროა განისაზღვროს მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად. (იხ. ბრძანება №69/წ).
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	უნდა განისაზღვროს პროგრამის მოცულობა კრედიტებში, მიეთითოს პროგრამაზე სწავლისათვის გათვალისწინებული სემესტრების მინიმალური რაოდენობა. ასევე, საჭიროა გაიწეროს პროგრამის შემადგენელი ნაწილები და თითოეული მათგანის მოცულობა კრედიტებში (იხ. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (ბრძანება №69/წ, ECTS-ის სახელმძღვანელო).
სწავლების ენა	პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან უცხოურ ენაზე. ² საჭიროა მიეთითოს რა ენაზე მიმდინარეობს სწავლება.
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. ³ პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ან გამონაკლისი წესით - საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის - ასისტენტ-პროფესორი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით. რამდენიმე ხელმძღვანელის შემთხვევაში ერთ-ერთი შეიძლება იყოს კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთა საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე. ⁴ პროგრამის თანხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირი. ⁵ დარგთაშორის (ინტერდისციპლინურ და/ან მულტიდისციპლინურ) საგანმანათლებლო პროგრამას შესაძლებელია, ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი.

¹ პროგრამის შემუშავებისას რეკომენდებულია, გამოიყენოთ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სახელმძღვანელო, ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების საჭიროებების ანალიზის შედეგები, დარგში არსებული ახალი ცოდნა, იქნას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის სარეკომენდაციო მეთოდოლოგია (ბრძანება №:05/03), პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგებთან პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის წესი (ბრძანება №:07/03) და უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის წესი (დადგენილება №72/2018), ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 3 თებერვლის ბრძანება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ.

² საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან; უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება, მისი გავლის წინაპირობად უცხოური ენის ფლობის დადგენა და გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება.

³ პროგრამას შეიძლება ჰყავდეს კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთა საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე. გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. შესაბამისი ოქმი ინახება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

⁴ გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. შესაბამისი ოქმი ინახება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

⁵ გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა. ასეთ



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა⁶</p>	<p>პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს გამჭვირვალე და ის უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, განისაზღვროს ამა თუ იმ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების დამატებითი წინაპირობები (მაგალითად, წერიტი/ზეპირი/კომბინირებული გამოცდა სპეციალობაში⁷, უცხო ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე, სამაგისტრო პროგრამისათვის რომელ სფეროში/დარგში უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი და სხვ.). უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს შესაბამისი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას, ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული და მიღწევადი. პროგრამის მიზნები უნდა ასახავდეს, თუ რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები უნდა გააჩნდეს კურსდამთავრებულს და რა წვლილის შეტანას შეძლებს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სწავლის შედეგები⁸</p>	<p>სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (იხ. ბრძანება №69/5). სწავლის შედეგებში უნდა აისახოს ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი დარგობრივი მახასიათებელი ქართულად არ არსებობს, რეკომენდებულია ევროპული და აშშ-ის შესაბამისი სააკრედიტაციო სააგენტოებისა და პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების/სტანდარტების გამოყენება. სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში შესაძლებელია ევროპისა და აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინება, რაც გაზრდის შესაბამისი პროგრამის კონკურენტუნარიანობას როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე. საჭიროა მიეთითოს ინფორმაცია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე.</p>
<p><i>ა) ცოდნა და გაცნობიერება</i></p>	<p>გულისხმობს სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგს.</p>
<p><i>ბ) უნარები</i></p>	<p>გულისხმობს კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას.</p>
<p><i>გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</i></p>	<p>გულისხმობს ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენებას, პასუხისმგებლობას კოლეგებისა თუ აკადემიური წრის წარმომადგენლების მიმართ. ასევე, სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერებას კეთილსინდისიერების კულტურის განვითარების პროცესში, მათ შორის პლაგიატის პრევენციას.</p>
<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<p>პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლებისა და სწავლის მეთოდების მითითების დროს სასურველია, გამოყენებულ იქნას მეთოდები ამა თუ იმ მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.</p>

შემთხვევაში მოწვეულ პირთან ერთად პროგრამას ასევე უნდა უხელმძღვანელოს უნივერსიტეტის პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

⁶ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.

⁷ საგამოცდო საკითხები შესაბამის ლიტერატურასთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>(სწავლების მეთოდებია: ვერბალური მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება), როლური და სიტუაციური თამაშები, სიმულაცია, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, გამოცდილებით (experiential) სწავლება და ა.შ.). ელექტრონული სწავლების ფორმატი შესაძლოა, გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ სწავლებას უძღვეს საზღვარგარეთ მოღვაწე დარგის წამყვანი სპეციალისტი და უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სწავლების ეს ფორმატი მითითებული უნდა იყოს სილაბუსში.</p> <p>რეკომენდებულია ევროპული და აშშ-ს შესაბამისი სააკრედიტაციო სააგენტოებისა და პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების/სტანდარტების გამოყენება, რომლებშიც მითითებულია შესაბამისი სწავლებისა და სწავლის მეთოდები.</p> <p>სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია ხელს უნდა უწყობდეს სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას. სწავლა-სწავლების მეთოდები უნდა იყოს მოქნილი და ითვალისწინებდეს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნას სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.</p>
<p>შეფასების სისტემა⁹</p>	<p>დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული (ტრიმესტრული) მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის (ტრიმესტრის) ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის (ტრიმესტრის) განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით¹⁰ უნდა ითვალისწინებდეს:</p> <p>ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;</p> <p>ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;</p> <p>გ) სემესტრის (ტრიმესტრის) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.</p> <p>შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ბ) (B) მაღიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:</p> <p>ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;</p> <p>ზ) (F) ჩაიჭრა¹¹ – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>განსაზღვრული უნდა იყოს სად შეიძლება დასაქმდეს სტუდენტი.</p>
<p>სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის</p>	<p>უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის, ხოლო საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა მთავრობასთან შეთანხმებით.</p>

⁹ პროგრამის საფეხური, პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა ბმაში უნდა იყოს ერთმანეთთან და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

¹⁰ შეფასებების შეფარდება შეიძლება იცვლებოდეს საგნის, საგანმანათლებლო პროგრამის (კურსის) ან მოდულის მიხედვით.

¹¹ სემესტრის საბოლოო გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში, ითვლება ჩაჭრილად.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<p>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი</p>	<p>პროგრამას უნდა დაერთოს პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები დანართის (დანართი 12) მიხედვით და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.¹² უცხოენოვანი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შემთხვევაში დამატებით დგინდება უცხოური ენის ცოდნა.¹³</p> <p>ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ დანართი №15-ის შესაბამისად (შენიშვნის/შენიშვნის მისამართი, აუდიტორიების, ლაბორატორიების და ა.შ. ჩამონათვალი, შესაბამისი ტექნიკის ჩამონათვალი, საბიბლიოთეკო რესურსების აღწერილობა, ელექტრონული რესურსების აღწერილობა, პროგრამის პროფილის შესაბამისი ელექტრონული პროგრამების აღწერილობა და სხვ.).</p> <p>ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე პროგრამაში უნდა მიეთითოს რამდენი სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი.</p>
<p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა</p>	<p>პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია შესაბამისი პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფაზე. აღნიშნულ ინფორმაციას ამზადებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან/კოორდინატორთან, პროგრამის კომიტეტთან და თსუ-ის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით.</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</p>	<p>დამატებითი ინფორმაციის სახით პროგრამაში შესაძლოა აღწერილ იქნას პროგრამის განსაკუთრებულად ძლიერი მხარეები. მაგ. საერთაშორისო თანამშრომლობა, მრეწველობასთან თანამშრომლობა, თემის საჭიროებებსა და ეროვნულ და საერთაშორისო პრიორიტეტებზე ორიენტირებულობა და სხვ.</p>

¹² შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.

¹³ უცხოური ენის ცოდნა შეიძლება დადგინდეს შემდეგი გზით: უცხოური ენის არანაკლებ C1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარების სერტიფიკატი, ან უცხოეთის და/ან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია, ან გრძელვადიანი მივლინება უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (არანაკლებ ერთი სასწავლო სემესტრისა), ან სასწავლო კურსის/საჯარო ლექციების წაკითხვა უცხოეთის და/ან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან საჯარო ლექციის წაკითხვა, მოხსენების გაკეთება უცხოურ ენაზე და სხვ.



სასწავლო გეგმა¹⁴

ფაკულტეტი:

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

სწავლების საფეხური:

კრედიტების რაოდენობა:

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი:

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი):

პროგრამის სტრუქტურა (I ვარიანტი)

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი													
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა						სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო							შემოდგომის	გაზაფხულის	
				ლექცია	სემინარი/სამუშაო ჯგუფი	პრაქტიკები/ლაბორატორიული	გამოცდის დრო	დამოუკიდებელი	სულ				

¹⁴ სასწავლო გეგმა შეიძლება წარმოდგენილ იქნას პროგრამის სტრუქტურის I, II ან III ვარიანტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების და/ან სწავლების საფეხურის მიხედვით.



უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____

ფაკულტეტის ბეჭედი



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №2

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის/თანახელმძღვანელის/კოორდინატორის ფუნქციები და პასუხისმგებლობების სფერო

1. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ხარისხიანი და თანამედროვე მოთხოვნებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზებას. იგი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და შიდა და გარე შეფასების გზით მის მუდმივ გაუმჯობესებას. იგი, ასევე პასუხისმგებელია, კონსულტაციები გაუწიოს სტუდენტებს აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით.
2. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებს უწევს პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები, მეცნიერები; დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას; ორგანიზებას უწევს პროგრამის საჯარო განხილვას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, კათედრა და ა. შ.), ან შესაბამისი პროფილის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სხდომაზე.
3. პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს/კოორდინატორს ევალება: მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია პროგრამის და მისი განხორციელების თავისებურებების შესახებ, გაუწიოს მათ კონსულტაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და სხვ. დამატებით, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა სადოქტორო სემინარში, პროგრამის მონაწილე დოქტორანტების სასწავლო და სანეციერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი და სხვ.
4. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაზე.
5. პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი/თანახელმძღვანელი/კოორდინატორი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები ეცნობება ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირების მიზნით.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

5. სწავლების ერთ საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის) ერთმა და იმავე პირმა არ შეიძლება უხელმძღვანელოს ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას. გადაწყვეტილება გამონაკლისის შესახებ შეიძლება მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №3

საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის შემადგენლობა

1. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მხარდაჭერის მიზნით იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების კომიტეტი (შემდგომში: კომიტეტი), რომლის შემადგენლობაში შედიან:

ა) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი (მათი არსებობის შემთხვევაში);

ბ) პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები;

გ) უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი/წარმომადგენლები (არსებობის შემთხვევაში), რომელიც იმავდროულად არ იკავებს თსუ-ში აკადემიურ თანამდებობას;

დ) სტუდენტი/სტუდენტები;

ე) კურსდამთავრებული/კურსდამთავრულები;

ვ) პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში როგორც პროფილური, ისე სხვა დამსაქმებელი/დამსაქმებლები (მხოლოდ აზერბაიჯანულენოვანთათვის/სომხურენოვანთათვის/აფხაზურენოვანთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შემთხვევაში დამსაქმებლების ნაცვლად კომიტეტის შემადგენლობაში შესაძლებელია შეყვანილ იქნას იმ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, რომლებზეც აგრძელებენ სწავლას ზემოხსენებული პროგრამის კურსდამთავრულები);

ზ) პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);

თ) შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ი) უცხოელი სპეციალისტი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში);
 - კ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
 - ლ) თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
 - მ) სხვა წევრი/წევრები.
2. უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში კომიტეტის შემადგენლობაში უცხოელი სპეციალისტის ყოფნა სასურველია.
 3. უცხოელი სპეციალისტი შესაძლებელია მოწვეულ იქნას ერთჯერადად.
 6. კომიტეტის წევრად შეიძლება შერჩეულ იქნეს სტუდენტი, რომლის GPA აღემატება 3.0-ს.
 7. კომიტეტი იქმნება ერთი მიმართულების/დარგის/ქვედარგის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. შესაძლებელია შეიქმნას ერთზე მეტი კომიტეტი ერთი მიმართულების/დარგის/ქვედარგის ფარგლებში უცხოენოვანი და/ან უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების არსებობის შემთხვევაში.
 8. კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევიან ერთი წლის ვადით კომიტეტის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით.
 9. კომიტეტის წევრობა არ არის ანაზღაურებადი სამუშაო.
 10. კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო დეკანის წარდგინების საფუძველზე. კომიტეტის შემადგენლობას ან ცვლილებას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით.
 11. კომიტეტის თითოეული სხდომის ოქმი ინახება პროგრამის პორტფოლიოში, ხოლო ასლი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №4

სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	სასწავლო კურსის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს კურსის შინაარსს.
სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები	საჭიროა სახელის, გვარის, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის, აკადემიური სტატუსის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითება.
ლექტორი/ლექტორები	საჭიროა სახელის, გვარის, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის, აკადემიური სტატუსის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითება. აქვე მიეთითება კონსულტაციის დღეები, საათები და ადგილი, სადაც ეს კონსულტაცია განხორციელდება, მაგ. რომელიმე აუდიტორია/დეპარტამენტი და ა.შ., ან განმარტება, ცხრილის ხელმისაწვდომობის შესახებ.
სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსისთვის კოდის მინიჭება ხდება შემდეგი პრინციპების მიხედვით: პირველ ადგილას იწერება ფაკულტეტის აბრევიატურა, მეორე ადგილას – სწავლების საფეხური, მესამე ადგილას – საგანმანათლებლო პროგრამის/ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის ნომერი, ხოლო მეოთხე ადგილას – სასწავლო კურსის ნომერი სასწავლო გეგმის მიხედვით. ფაკულტეტების აბრევიატურებია: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - ENS, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - HS, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - SPS, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი - PES, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - EB, იურიდიული ფაკულტეტი - LAW, მედიცინის ფაკულტეტი - MED. სწავლების საფეხურების აბრევიატურებია: ბაკალავრიატი - B, მაგისტრატურა - M, ერთსაფეხურიანი - U, დოქტორანტურა - P. საგანმანათლებლო პროგრამის/ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის ნომერი განისაზღვრება დეკანის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. სასწავლო კურსს კოდს ანიჭებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
სასწავლო კურსის სტატუსი	ფაკულტეტი: სწავლების საფეხური: პროგრამა: სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი):
ECTS	კრედიტები: საათების საერთო რაოდენობა: საკონტაქტო საათები: ლექცია: სემინარი: პრაქტიკუმი:



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>ლაბორატორიული სამუშაო: სხვა: დამოუკიდებელი მუშაობის საათები:</p>
<p>სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები</p>	<p>კურსზე დაშვების წინაპირობას წამოადგენს ამ პროგრამით განსაზღვრული სხვა რომელიმე კურსი, რომელიც ისწავლება წინსწრებით; იმ შემთხვევაში თუ კურსი ხორციელდება უცხოურ ენაზე და/ან სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია უცხოენოვანი ლიტერატურა, წინაპირობად მოთხოვნილი უნდა იყოს უცხოური ენის ცოდნა შესაბამის დონეზე.</p>
<p>სასწავლო კურსის მიზნები</p>	<p>სასწავლო კურსის მიზნები ასახავს კურსის მთავარ დანიშნულებას. მიზნებში შეიძლება გადმოცემული იყოს თუ რა ცოდნას, უნარებსა და/ან ღირებულებებს უნვითარებს სტუდენტებს აღნიშნული საწავლო კურსი.</p>
<p>სწავლის შედეგები აღწერილი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად</p>	<p>სასწავლო კურსის სწავლის შედეგები აღწერს თუ რა ცოდნა, უნარები და/ან ღირებულებები ექნება სტუდენტს აღნიშნული კურსის დასრულების შემდეგ. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ბმაში უნდა იყოს ამავე სასწავლო კურსის მიზნებთან და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან. შედეგები უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურს. სასურველია, სასწავლო კურსს ჰქონდეს არაუმეტეს 7 (შვიდი) სწავლის შედეგისა.</p>
<p>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</p>	<p>გთხოვთ, მიუთითოთ თუ რომელი სწავლა-სწავლების მეთოდ(ებ)ი გამოიყენება აღნიშნული სასწავლო კურსის წარმართვისას. სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაში უნდა იყოს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის გზებთან. (მაგ. სწავლების მეთოდები: ვერბალური მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, როლური და სიტუაციური თამაშები, სიმულაცია, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, გამოცდილებით (experiential) სწავლება და ა.შ.) ასევე, საჭიროების შემთხვევაში უნდა მიეთითოს შერჩეული მეთოდის ეფექტიანად განხორციელებისთვის შესაბამისი აუდიტორია.</p>
<p>შეფასების სისტემა¹</p>	<p>შეფასების ფორმები შეფასების მეთოდები შეფასების კრიტერიუმები</p>

¹ შეფასების სისტემა ბმაში უნდა იყოს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<p>სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p>	<p>აღნიშნული ლიტერატურის მოძიება შესაძლებელი უნდა იყოს თსუ-ის ბიბლიოთეკებში. ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს აკადემიური სტილის მოთხოვნების დაცვით. ელექტრონული რესურსების მითითების შემთხვევაში, გთხოვთ, დაიცვათ ელექტრონული მასალის მითითების აკადემიური წესი.</p>
<p>დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p>	<p><i>მითითებული უნდა იყოს საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ლიტერატურა:</i> აკადემიური სტილის მოთხოვნების დაცვით. ელ. რესურსების მითითების შემთხვევაში, გთხოვთ, დაიცვათ ელ. მასალის მითითების აკადემიური წესი</p>
<p>სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია/პირობები (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p>სტუდენტებთან კონსულტაციები გაიმართება ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული ცხრილის მიხედვით.</p>
<p>აკადემიური კეთილსინდისიერება</p>	<p>მაგალითისთვის:</p> <p>აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნულ სასწავლო კურსში. სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ თავის მიერ მომზადებული დავალება, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები. სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება და/ან სტატუსის შეწყვეტა.</p>



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

--	--	--



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო კურსის სილაბუსი³

(მოკლე ფორმის ნიმუში)

სასწავლო კურსის სახელწოდება

ლექტორი/ლექტორები

ECTS

კვირული საათობრივი

დატვირთვა:

სწავლების საფეხური:

აუდიტორია:

სტატუსი:

კურსის დასაწყისი:

დაშვების წინაპირობა:

კურსის მონაწილეთა დასაშვები ოდენობა:

სალექციო კურსის შინაარსი და მიზნები:

სავალდებულო ლიტერატურა:

³ იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო პროგრამა არის უცხოენოვანი პროგრამას თან უნდა ერთვოდეს სილაბუსის მოკლე ფორმა/ფორმები ქართულ ენაზე



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დამშენებლის წინაპირობები: რომელი სასწავლო კურსი/კურსები წარმოადგენს აღნიშნულ
